



# გლობალური სტუდენტური გაცვლითი პროგრამა

## სასწავლო დარგები

- ფინანსები
- სოფლის მეურნეობა
- ანთროპოლოგია
- ბიოლოგია
- ბიზნესი
- ქიმია
- კომპიუტერული მეცნიერება
- სისხლის სამართალი
- ეკონომიკა
- განათლება
- ინჟინერია
- გარემოს დაცვის მენეჯმენტი
- გეოლოგია
- სასტუმროს მენეჯმენტი
- საერთაშორისო ურთიერთობები
- ჟურნალისტიკა
- სამართალი
- ფიზიკა
- პოლიტიკური მეცნიერება
- ფსიქოლოგია
- სოციოლოგია
- ურბანული დაგეგმარება
- ამერიკანისტიკა
- სხვა დარგები განიხილება

გლობალური სტუდენტური გაცვლითი პროგრამა წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის ბიუროს პროგრამას. სტუდენტური პროგრამა საშუალებას აძლევს პირველი, მეორე და მესამე კურსის სტუდენტებს სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელორუსიდან, საქართველოდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, მოლდოვეთიდან, რუსეთიდან, ტაჯიკეთიდან, თურქმენეთიდან, უკრაინიდან და უზბეკეთიდან ერთი აკადემიური წლის განმავლობაში ისწავლონ ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტში ან კოლეჯში. პროგრამა არ ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის მინიჭებას. მონაწილეები შეირჩებიან ღია, თანასწორუფლებიანი კონკურსის საფუძველზე.

## პროგრამის ყველა მონაწილე:

- დაესწრება ლექციების კურსს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში;
- პირველი სემესტრის განმავლობაში შეასრულებს მინიმუმ 20 საათის მოცულობის საზოგადოებრივ საქმიანობას მასპინძელ ქალაქში; და
- გაივლის ნახევარ-განაკვეთიან სტაჟირებას მეორე სემესტრის განმავლობაში.

სტუდენტები, რომლებიც ანკეტის ჩაბარების მომენტში არიან პირველ კურსზე, ისწავლიან ორწლიან საზოგადოებრივ კოლეჯებში, ხოლო მეორე და მესამე კურსის სტუდენტები იცხოვრებენ უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლებში და განთავსდებიან ოთხწლიან კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში.

პროგრამა სრულად არის დაფინანსებული და ითვალისწინებს შემდეგს:

- მხარდაჭერას აშშ J-1 ვიზის მისაღებად;
- მგზავრობას მონაწილის საცხოვრებელი ქალაქიდან მასპინძელ უნივერსიტეტამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში და უკან;
- ბინის ქირას და კვებას აშშ-ში ყოფნის პერიოდში;
- უნივერსიტეტში სწავლების საფასურს და სხვა სავალდებულო საუნივერსიტეტო ხარჯებს;
- თანხას წიგნების შესაძენად;
- ყოველთვიურ სტიპენდიას;
- სამედიცინო დაზღვევას; და
- ინგლისური ენის კურსებს (საჭიროების შემთხვევაში).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ანკეტა

## ანკეტის ჩაბარების ბოლო ვადა: 2008 წლის 10 დეკემბერი, ოთხშაბათი, 17:00

გლობალური სტუდენტური პროგრამის ანკეტების მიღება და ჩაბარება შესაძლებელია IREX საქართველოს ოფისში:

IREX / საქართველოს ოფისი:

ი. აბაშიძის ქ. № 4, 0179 თბილისი, საქართველო

ტელ/ფაქსი: (995 32) 29 19 05; 91 26 08 ელ-ფოსტა. [ugrad@irex.ge](mailto:ugrad@irex.ge)

**შენიშვნა :** ანკეტების გაცემა და ჩაბარება შესაძლებელია აგრეთვე ქვემოთ მოცემულ პარტნიორ ორგანიზაციებში. აღნიშნულ ცენტრებში შესაძლებელი იქნება ქვითრის მიღება

**ახალციხე** – ამერიკული კუთხე, კოსტავას ქ. №11 ტელ: (995 93) 37 75 97; **ბათუმი** – საერთაშორისო განათლების ცენტრი, ნინოშვილის ქ. №23 ტელ: (995 222) 7 58 17; **ქუთაისი** – საერთაშორისო განათლების ცენტრი, წერეთლის ქ. № 13., ტელ: (995 331) 4 11 40; **თელავი** - თელავის საჯარო ბიბლიოთეკა, IATP ცენტრი, ერეკლე II ქ. №1, ტელ: (995 350) 7 27 08; **ზუგდიდი** – არასამთავროო ორგანიზაცია ათინათი, IATP ცენტრი, რუსთაველის ქ. №94, II სართ. ტელ: (995 315) 5 00 56

